

ჩვეულებრივი ენოტის (*Procyon lotor*) გავრცელება საქართველოში
Distribution of Common Raccoon (*Procyon lotor*) in Georgia

ალექსანდრე ქიტიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ეკოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (ეკოლოგია,
მოლეკულური ბიომეცნიერებები, ბიოფარმაცია, ნეირომეცნიერებები)
მიმართულება: ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე გავაშელიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2020

სარჩევი

აბსტრაქტი.....	3
შესავალი.....	4
მასალა და მეთოდები	12
შედეგები	15
დისკუსია.....	27
დასკვნები.....	30
სამადლობელი	31
გამოყენებული წყაროები	31

აბსტრაქტი

ინვაზიური სახეობები ადგილობრივი ბიომრავალფეროვნებისთვის საფრთხის შემცველი 5 ყველაზე დიდი ფაქტორიდან ერთერთია, დანარჩენი 4 ფაქტორია კლიმატის ცვლილება, ჰაბიტატის დეგრადაცია-ფრაგმენტაცია, გადაჭარბებული მოპოვება და გარემოს დაბინძურება. ჰაბიტატ-გენერალისტი, ოპორტუნისტი, მტაცებელი ძუძუმწოვარი ჩვეულებრივი ენოტი (*Procyon lotor* Linnaeus 1758) ევროპის 27 ქვეყანაში, იაპონიაში და მრავალ კუნძულზე ინვაზიურ სახეობას წარმოადგენს. ის საკუთარ ბუნებრივ გავრცელების ტერიტორიაზეც, ამერიკის კონტინენტზე, სოფლის მეურნეობისთვის და ეკონომიკისთვის ერთერთი ყველაზე დიდი ზიანის მომტანი ძუძუმწოვარია. ენოტი გამოირჩევა ადაპტაციის მაღალი უნარით და ანთროპოგენურ გარემოსთან მარტივი შემგუბლობით. ენოტი, როგორც ინვაზიური მტაცებელი განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს მიწაზე მოზუდარი ფრინველებისთვის, სხვადასხვა სახეობის ამფიბიებისთვის, რეპტილიებისთვის და კიბოსნაირებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ენოტი უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოუყვანიათ, ის პირველად აღმოსავლეთ საქართველოში წინა საუკუნის 50-იან წლებში, ლაგოდეხის მიდამოებში, ხოლო დასავლეთ საქართველოში ბოლო 30 წლის მანძილზე აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოჩნდა. ენოტის გავრცელებისთვის ყველაზე დიდ გეოგრაფიულ ბარიერებს წყალუხვი მდინარეების მეორე ნაპირზე გადასვლა წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ენოტი ჰაბიტატს მდინარეების კალაპოტის გაყოლებით იფართოებს, ხოლო მეორე მხარეს კი ყველაზე ხელსაყრელ ადგილას, წყალ-ნაკლულ ადგილას, ან ხიდის მეშვეობით გადადის. ენოტმა მოახერხა თითქმის მთელი კახეთის ტერიტორიის ათვისება და უკვე თბილისის შემოგარენშიც ფიქსირდება. დასავლეთ საქართველოში კი, მათ, ჰაბიტატი ჯერჯერობით მხოლოდ სოხუმის ტერიტორიამდე გაიფართოვეს. მიუხედავად საქართველოში ამდენწლიანი გავრცელებისა, ჯერჯერობით არ ჩატარებულა ფუნდამენტური კვლევა, რაც

შეისწავლიდა ენოტის გავრცელებას, რიცხოვნობას, მის მიერ დაკავებულ ეკოლოგიურ ნიშასა, თუ მის მიერ გამოწვეულ როგორც ეკოლოგიურ, ისე ეკონომიკურ ზარალს. მაქსიმალური ენტროპიის გამოყენებით, ენოტის დაფიქსირების დადასტურებული ადგილების, NDVI და EVI ინდექსების გამოყენებით მოდელირებამ გვაჩვენა ენოტისთვის თითოეული თვისა და მთლიანი წლის განმავლობაში შესაბამისი და შეუსაბამო ჰაბიტატების ადგილმდებარეობა. გამოვლინდა, რომ მთელი წლის განმავლობაში, ენოტისთვის საქართველოს თითქმის მთლიანი ტერიტორია გამოსადეგია დიდი კავკასიონის მაღალი მწვერვალების, ჯავახეთის ზეგანის და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს არიდული ზონების გარდა. ისევე, როგორც ენოტისთვის გამოსადეგი ჰაბიტატებია თურქეთისა და რუსეთის შავი ზღვის პირეთის მიდამოებში. არსებული ლიტერატურული მასალის გაანალიზებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით დადგენილი ენოტის დღე-ღამური აქტივობა ემთხვევა ენოტის ბუნებრივი ჰაბიტატის დღე-ღამურ აქტივობას.

საკვანძო სიტყვები: ენოტი, *Procyon lotor*, გავრცელების მოდელი, ინვაზია, კავკასია.

შესავალი

ინვაზიური სახეობების დიდი ნაწილი გენეტიკური მრავალფეროვნების ნაკლებობის გამო მალევე იხოცება, ან მხოლოდ კონკრეტულ, მცირე ტერიტორიაზე მრავლდება (Long, 2003; Biedrzycka, et al. 2014). ამის მიუხედავად, წარმატებით მოხერხდა ჩვეულებრივი ენოტის (*Procyon lotor* Linnaeus 1758) ადაპტაცია სხვადასხვა უცხო ტერიტორიაზე. ენოტის წარმატება განაპირობა მისი გაშვების ეტაპობრიობამ და მისმა ადაპტაციის უნარმა. ხანდახან ენოტები მცირე პოპულაციის შექმნას ტყვეობიდან